



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 29.07.2021 წლის №052/21¹
გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ირაკლი ლაზარაშვილი (სტუდენტი)

ფაქტები

2015 წლიდან ადვოკატი და საჩივრის ავტორი, საადვოკატო მომსახურების გარიგებიდან გამომდინარე თანამშრომლობენ. გარიგებით აღნიშნული მომსახურების ჰონორარი განსაზღვრულია - 500 ლარის ოდენობით. საჩივრის ავტორმა ადვოკატთან გააფორმა მინდობილობა. მომსახურების სარგებლობის საფუძველს წარმოადგენდა უკანონო მშენებლობის აღკვეთასთან დაკავშირებით დახმარება. საქალაქო სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანით, მომჩივანის მოთხოვნა დააკმაყოფილა, რის შემდეგაც ადვოკატმა შეწყვიტა კლიენტის წარმომადგენლობა და არ განახორციელა კლიენტის სასარგებლოდ სხვა საპროცესო მოქმედებები. ადვოკატი არ უკავშირდებოდა და გამუდმებით ატყუებდა საჩივრის ავტორს, რაც მომჩივანის მხრიდან გახდა უფასო იურიდიული დახმარების სამსახურისათვის მიმართვის საფუძველი. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატს მისთვის არ უცნობებია მომსახურების შეწყვეტის თაობაზე. ადვოკატს ეთიკის კომისიისათვის საკუთარი პოზიცია არ აქვს წარმოდგენილი.

პროცესუალური ისტორია

საჩივრის ავტორმა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და გადახდილი თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნით.

სამართლებრივი შეფასება

(1) დაარღვია თუ არა ადვოკატმა პროფესიული ეთიკის ნორმა, როდესაც სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, არ მიაწოდა საჩივრის ავტორს ინფორმაცია.

ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან. (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 6.2 მუხლი)

ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

ადვოკატი თავისუფალია პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში. ეს არ უნდა გამორიცხავდეს მის ვალდებულებას - საქმესთან დაკავშირებით ყველა სახის ინფორმაცია მიაწოდოს კლიენტს. ასევე კლიენტს არ უნდა შეექმნას წინაღობა ადვოკატთან დაკავშირებაში. ზემოთხსენებული ვალდებულების დარღვევა პირდაპირ კავშირშია კლიენტის ინტერესებთან. საადვოკატო მომსახურების გარიგებაში, კლიენტი წარმოადგენს შედეგით დაინტერესებულ პირს, ამიტომ მნიშვნელოვანია ის ფლობდეს ყველა იმ სახის ინფორმაციას, რაც შეიძლება მის საქმესთან იყოს კავშირში.

¹ <https://gba.ge/pdf/62133bbd43396.pdf/052-21,%20ar%20aghdzvra,%2012.10.21.pdf>

ადვოკატმა საადვოკატო საქმიანობის განხორციელება, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შეწყვიტა. წარმოდგენილი მტკიცებულებებით, არ დასტურდება, იყო თუ არა ვალდებული ადვოკატი საქმის დასრულების შემდეგაც გაეწია მომსახურება კლიენტისათვის. შესაბამისად, არ დგინდება ადვოკატის მიერ კლიენტის ინფორმირების ვალდებულების დარღვევა.

(2) ადვოკატმა დაარღვია თუ არა კლიენტის ინტერესები, ჰონორარის დაუბრუნებლობით.

კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. თუ საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვისათვის ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მოწესრიგდეს ცალკე კანონით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 319.1).

საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. ადვოკატი შეთანხმებული მომსახურების გაწევით გამოიმუშავებს ჰონორარს.

ადვოკატის მიერ კლიენტის სასარგებლოდ განხორციელებული საქმის შესაბამისი საპროცესო მოქმედებები, როგორებიცაა: საქმის შესწავლა, სტრატეგიის შემუშავება და კლიენტის ინტერესების წარმოდგენა სასამართლოში მიმდინარე დავაში, მიჩნეულ უნდა იქნეს ჰონორარის გამოიმუშავების საფუძვლად. ეთიკის კომისიას არ აქვს უფლებამოსილება სასამართლო კომპეტენციაში შევიდეს და ადვოკატს დაავალდებულოს გადახდილი თანხის უკან დაბრუნება. ამავე კომისია განიხილავს დავას თავად ადვოკატის ქცევის ეთიკის კოდექსის ნორმებთან შესაბამისობაში. ეთიკის კომისია ვერ გადაწყვეტს მხარეებს შორის სამოქალაქო სამართლებრივ დავას.

ადვოკატი არ არის ვალდებული, გამოიმუშავებული თანხა საჩივრის ავტორს დაუბრუნოს. კლიენტის ინტერესები ამით არ ირღვევა, ვინაიდან ინტერესების დამცველის მიერ ყველა ის საპროცესო ქმედებაა განხორციელებული, რაც მოასწავებს გამოიმუშავებული თანხის კუთვნილების უფლებამოსილებას.

დასკვნა

ადვოკატის მიმართ, არ აღიძრა დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში ვერ დადასტურდა ადვოკატის მხრიდან კლიენტის ინფორმირებისა და გამოუმუშავებელი ჰონორარის უკან დაბრუნების ეთიკური ვალდებულებების დარღვევა.